ოქმი #17

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 01 ნოემბერი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე: ჭაბუკი ჭაბუკიანი
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: გ. გუგავა, მ. კოპალიანი
საკრებულოს წევრები: თ. ჭაბუკიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ყურაშვილი, მ. ხაბულიანი, ო. ჩაკვეტძე, დ. მუშკუდიანი, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, ე. საღინაძე, ნ. ბურჯალიანი, მ. ახვლედიანი, გ. გურგუჩიანი, ნ. ტვილდიანი, რ. ყურაშვილი, მ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, გ. ახვლედიანი, ა. თვარაძე, ა. მახარობლიძე.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე
მერიის განათლების, კულტურის, სპორტის ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: გ. კვირიკაშვილი
მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი: შ. დვალი
ა(ა)იპ ცაგერის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელი: ლ. კოპალიანი

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში ლაშიჭალის უბანში სახელწოდების არმქონე ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.
/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების - ქ. ცაგერში ს/კ 89.03.23.128 ფართით 2453 კვ.მ); ქ. ცაგერში (ს/კ 89.03.21.200 ფართით 5452.00 კვ.მ.); სოფ. ქვ. ცაგერში (ს/კ 89.02.24.033 ფართით 700.00 კვ.მ.); სოფ. ჩხუტელში (ს/კ 89.02.32.001 ფართით 365.00 კვ.მ); სოფ. ლაჯანაში (ს/კ 89.04.30.010 ფართით 1266.00 კვ. მ); სოფ. ლაილაშში ს/კ 89.05.27.007 ფართით 1576.00კვ.მ); სოფ. მახაშში (ს/კ 89.08.23.007 ფართით 841კვ.მ); სოფ. ზუბში (ს/კ 89.10.21.007 ფართით 1800.00 კვ.მ); სოფ. ოყურეშში (ს/კ 89.11.21.068 ფართით 558.00 კვ. მ); სოფ. ალპანაში (ს/კ 89.14.28.003 ფართით 979.00კვ.მ); სოფ. ორბელში (ს/კ 89.04.25.008 ფართით 2500კვ.მ); მდებარე შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით, ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრისთვის (ს/ნ 242574512) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

3. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი/

დღის წესრიგი

დადგენილება:

1. ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, ი. ბურჯალიანი/

მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა შორენა დვალმა განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელმაც განსაზღვრა მუნიციპალიტეტის მოვალეობები, აღნიშნულმა გამოიწვია ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივნისის №13 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსების, ჩაბარების, წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის'' #2 დანართის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში.

აზრი გამოთქვეს: მ. ხაბულიანმა, მ. კოპალიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა

აღნიშნული დადგენილების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა დეპუტატმა

დადგენილება მიღებული იქნა (თან ერთვის)

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 0

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელში ლაშიჭალის უბანში სახელწოდების არმქონე ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/ჭ. ჭაბუკიანი, მ. ხაბულიანი/

აზრი გამოთქვეს: გ. გურგუჩიანმა, გ. გუგავამ, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 26
წინააღმდეგი: 0

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების - ქ. ცაგერში ს/კ 89.03.23.128 ფართით 2453 კვ.მ); ქ. ცაგერში (ს/კ 89.03.21.200 ფართით 5452.00 კვ.მ.); სოფ. ქვ. ცაგერში (ს/კ 89.02.24.033 ფართით 700.00 კვ.მ.); სოფ. ჩხუტელში (ს/კ 89.02.32.001 ფართით 365.00კვ.მ); სოფ. ლაჯანაში (ს/კ 89.04.30.010 ფართით 1266.00კვ.მ); სოფ. ლაილაშში ს/კ 89.05.27.007 ფართით 1576.00კვ.მ); სოფ. მახაშში (ს/კ 89.08.23.007 ფართით 841კვ.მ); სოფ. ზუბში (ს/კ 89.10.21.007 ფართით 1800.00კვ.მ); სოფ. ოყურეშში (ს/კ 89.11.21.068 ფართით 558.00კვ.მ); სოფ. ალპანაში (ს/კ 89.14.28.003 ფართით 979.00კვ.მ); სოფ. ორბელში (ს/კ 89.04.25.008 ფართით 2500კვ.მ); მდებარე შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით (უსასყიდლო უზუფრუქტი) არსებობის ვადით, ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე მართვის ცენტრისთვის (ს/ნ 242574512) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ლ. ზალკალიანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნული განკარგულების პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებებზე - ქ. ცაგერში ს/კ 89.03.23.128 ფართით 2453 კვ.მ); ქ. ცაგერში (ს/კ 89.03.21.200 ფართით 5452.00 კვ.მ.); სოფ. ქვ. ცაგერში (ს/კ 89.02.24.033 ფართით 700.00 კვ.მ.); სოფ. ჩხუტელში (ს/კ 89.02.32.001 ფართით 365.00კვ.მ); სოფ. ლაჯანაში (ს/კ 89.04.30.010 ფართით 1266.00კვ.მ); სოფ. ლაილაშში ს/კ 89.05.27.007 ფართით 1576.00კვ.მ); სოფ. მახაშში (ს/კ 89.08.23.007 ფართით 841კვ.მ); სოფ. ზუბში (ს/კ 89.10.21.007 ფართით 1800.00კვ.მ); სოფ. ოყურეშში (ს/კ 89.11.21.068 ფართით 558.00კვ.მ); სოფ. ალპანაში (ს/კ 89.14.28.003 ფართით 979.00კვ.მ); სოფ. ორბელში (ს/კ 89.04.25.008 ფართით 2500კვ.მ); არსებულ შენობა-ნაგებობებში განთავსებულია ა(ა)იპ სკოლამდელი მართვის ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაღები. დღესდღეობით აუცილებლობას წარმოადგენს, რომ ისინი, როგორც მოსარგებლეები დაფიქსირდნენ საჯარო რეესტრის ამონაწერებში. ინდივიდუალურად ყველა ბაღთან დაიდება ,,უსასყიდლო უზუფრუქტი"-ს ხელშერკრულება არსებობის ვადით.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ ითხოვა თანხმობა აღნიშნული ქონებები ,,უსასყიდლო უზუფრუქტით" არსებობის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ სკოლამდელი მართვის ცენტრს.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, რ. ხეცურიანმა, ჭ. ჭაბუკიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტი სხდომის თავმჯდომარემ დააყენა კენჭისყრაზე:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 26-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 26
წინააღმდეგი: 0

3. მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ტურიზმის და ძეგლთა დაცვის ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

/ლ. ზალკალიანი, გ. კვირიკაშვილი/

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად
/განკარგულება თან ერთვის/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სიტყვა ითხოვა ,,ცაგერი საქართველოსთვის“ ფრაქციის თავმჯდომარემ მალხაზ მურცხვალაძემ, ბატონმა მალხაზმა აღნიშნა, რომ ფრაქცია ,,ცაგერი საქართველოსთვის“ შემოდის ორი ინიციატივით: პირველი - ეს ეხება სტუდენტებს, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არიან რეგისტრირებული. მ/წელს სტუდენტთა წახალისების პროგრამის 90 პროცენტი დარჩა აუთვისებელი, აღნიშნული თანხა თანაბრად გადანაწილდეს მაგიტრატურის შემდეგი კატეგორიის სტუდენტებზე:

1. მაგისტრატურაში (რეზიდენტურაში) მიმდინარე წელს ჩარიცხული სტუდენტები;
2. მეორე კურსის სტუდენტები;
3. ვისაც გადაუხდელობის გამო შჩერებული აქვს სტატუსი.

მომდევნო წელს კი ეს პროგრამა გავრცელდეს მხოლოდ საბიუჯეტო წელს ჩარიცხულ სტუდენტებზე.

მეორე ინიციატივა ეხება შშმ პირების დახმარების პროგრამას, კერძოდ, ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებული იქნეს მომავალ ზამთარში შშმ პირების ოჯახების სათბობი შეშით მომარაგების ფინანსური უზრუნველყოფა.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ჭაბუკი ჭაბუკიანი**